

გუგა ჯულუხიძე

University of Szczecin, Poland

„მიუხედავად იმისა, რომ შჩეჩინის უნივერსიტეტი მხოლოდ 25 წლის წინ დაარსდა, აღნიშნული უმაღლესი სასწავლებელი ძალიან ბევრ კვლევით შესაძლებლობას გთავაზობს: ლაბორატორიებს, ბიბლიოთეკებს, სამეცნიერო კონფერენციებსა და სემინარებს. ჩემთვის, როგორც დოქტორანტურის დამამთავრებელი კურსის სტუდენტისათვის უმნიშვნელოვანესი იყო პირდაპირი კონტაქტი აკადემიურ პერსონალთან და მათთან მუდმივი კონსულტაცია. გარდა ამისა, უნივერსიტეტი მუდმივად ხელს გიწყოფს სადოქტორო კვლევისათვის აუცილებელ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებაში სრულიად პოლონეთის მასშტაბით.

გამომდინარე იქიდან, რომ მომეცა საშუალება მყოლოდა ადგილობრივი სამეცნიერო ხელმძღვანელიც, მნიშვნელოვნად გამიმარტივდა უნივერსიტეტთან ადაპტაცია და რაც მთავარია, ნაყოფიერი კვლევის ჩატარება.

ერთი სიტყვით, შჩეჩინის უნივერსიტეტმა სრულად გაამართლა ის მოლოდინი, რომელიც მე, სადოქტორო საფეხურის სტუდენტს და ამავდროულად მკვლევარს შეიძლებოდა ჰქონოდა.”